# საქართველო

24063-01-2-201906141400

## საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/24063
14/06/2019

*ფრიად სასჩქარო*

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

გაცნობებთ, რომ ნოტების გაცვლის გზით მოლაპარაკების გამართვისთვის მზადაა „ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის შრომითი მიგრაციის რეგულირების შესახებ“ შეთანხმების პროექტი.

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის უახლოეს სხდომაზე განსახილველად, გიგზავნით, ზემოხსენებული შეთანხმების პროექტს ქართულ და ინგლისურ ენებზე, შეთანხმების ფურცელს, განმარტებით ბარათსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული უწყებების დასკვნებს.

ამასთან, საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად, გიგზავნით, საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტს, შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, ნოტების გაცვლის გზით, მოლაპარაკების გამართვის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

დანართი:
- შეთანხმების პროექტი;
- უწყებების დასკვნები;
- შეთანხმების ფურცელი;
- განკარგულების პროექტი;
- განმარტებითი ბარათი.

(ჯამი: 24 ფურცელი).

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი - მ.შ.

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge